პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 17
(7328)

25 1983 წ.
იანვარი,
სამშაბათი.
ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

●

● ჩოგბურთი

ი. მეტრეველს — „ვერცხლი“

მოსკოვში, ცსკა-ს ზამთრის კორტებზე დამთავრდა სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ფილიპოვას ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭაბუკ ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირი.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რესპუბლიკის 24-24 ჭაბუკი და გოგონა. წარმატებით იასპარეზა საქართველოს წარმომადგენელმა, დინამოელმა სპორტის ოსტატმა ირაკლი მეტრეველმა (მწვრთნელი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მ. ქობალია). ერთეულთა თანრიგის ფინალში იგი შეხვდა რსფსრ-ის ჩემპიონს კალინინგრადელ ს. ვოლკოვს. პირველი პარტია მოიგო ქართველმა სპორტსმენმა, მაგრამ დანარჩენ ორ პარტიაში მეტოქემ აჯობა და საბოლოოდ მეტრეველმა საპატიო II ადგილი დაისაკუთრა. ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი, ნორჩი დინამოელი ვლადიმერ გაბრიჩიძე V ადგილს დასჯერდა.

ა. მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

● ტრამპლინიდან ხტომა

ე. ორჯონიკიძის წარმატება

სულ ახლახან ვიუწყებოდით, რომ თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომაში ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე მაყურებელთა სიმპათიები მოიპოვა 14 წლის წაღვერელმა სპორტსმენმა ელგუჯა ორჯონიკიძემ, რომელიც ბაკურიანში მოასპარეზეთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო.

22-23 იანვარს კი ე. ორჯონიკიძე უკვე ქ. უფაში გამოდიოდა 1967-68 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა საკავშირო გუნდურ პირველობაზე. 45 მ ტრამპლინიდან ხტომაში წაღვერელი სპორტსმენი პირველ დღეს 51,5 და 52,5 მეტრზე გადახტა (ქულათა ჯამი 216). მეორე დღეს კი 56 და 55 მ-ზე (236 ქულა). ამ შედეგებმა ე. ორჯონიკიძე („დინამო“, მწვრთნელი ს. ხაჩატურიანი) პირველ ადგილზე გაიყვანა.

ს უ რ ა თ ზ ე: ე. ორჯონიკიძე.

გარანტიების მიუხედავად

თბილისი. სპორტის სასახლე. 22 იანვარი.

„დინამო“ (თბილისი)— რტი (მინსკი) 84:93 (44:46).

„დინამო“: ბოროდაჩოვი (19), გრძელიძე (11), გურასპაული (4), ბიჭიაშვილი (20), დარსაძე (12), ჩაჩანიძე (6), მილოვიდოვი (12), ლიპარტელიანი.

რტი: იაკუბენკო (23), პარფიანოვიჩი (24), პოპკოვი (10), ოსტრონოსოვი (2), სატიროვი (14), შერევერია (18), პუსტოგვარი (2), სლანევსკი.

მსაჯები: გ. ზაიცევი, გ. სასინი (ორივე — მოსკოვი).

თამაშის წინა დღეს მინსკის სპორტული გაზეთის რედაქციიდან დარეკეს. გვთხოვეს, მატჩის ანგარიში მიგვეწოდებინა.

რა თქმა უნდა, განსაკუთრებული ამაში არაფერია და ალბათ არც ღირდა ამ ფაქტის საქვეყნოდ გაცხადება, ერთი გარემოება რომ არა.

თუ არ ვცდები, ასეთი თხოვნით მინსკიდან არასოდეს მოუმართავთ. ინტერესი, ბუნებრივია, შემთხვევითი არ არის — საკმარისია გადახედო ჩემპიონატის სატურნირო ცხრილს და ყველაფერი ნათელი გახდება. რტი-მ აშკარად მოუმატა თამაშს, რაც ამას წინათ „სოვეტსკი სპორტმაც“ აღნიშნა. თუმცაღა, ხომ შეიძლება სტუდენტ სპორტსმენთა წარმატება ის ბედნიერი შემთხვევა იყოს, დროდადრო, მაგრამ მაინც რომ სდევს სპორტს, იქნებ ფორტუნას ხელი ურევია ამ საქმეში?

საბედნიეროდ, არა. საოცარი სწორედ ის იქნებოდა, ბელორუსული სპორტის ამ ბოლო ათი წლის საერთო დიდ აღმავლობას საკალათბურთო პროგრესიც არ მოჰყოლოდა.

იმ დროს (ხუთიოდე წლის წინანდელ ამბებს ვგულისხმობ), როცა ბელორუსიაში ბავშვთა ფეხბურთზე, ბავშვთა კალათბურთზე, საერთოდ ბავშვთა სპორტზე, — ფაქტიურად დიდი სპორტის სახვალიო საფუძველზე ზრუნავდნენ, ჩვენთან მთელი ყურადღება თბილისის „დინამოსკენ“, უფრო სწორად მისი შედეგებისკენ იყო მიპყრობილი. სპორტის მესვეურნი უკვე კარგა ხანია გვარიანად მიმქრალი ქართული კალათბურთის ნაკვერჩხლებზელა ითბობდნენ ხელს. სამწუხაროდ, „სოვეტსკი სპორტისა“ და „ლელოს“ განგაშის ზარს მაშინ არავინ მიუგდო ყური. პირიქით, გუნდის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილებისა და საზეიმო-თვითკმაყოფილების ფონზე რაიმე კრიტიკული შენიშვნის თქმა მკრეხელობადაც კი მიაჩნდათ.

ახლა, რა თქმა უნდა, გვსურს და უნდა მოვთხოვოთ კიდეც ჩვენს მთავარ გუნდს თავგანწირვით თამაში, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ სპორტკომიტეტისა და ფედერაციის ღვევანდელი, უნდა ითქვას, გამორჩეული ყურადღება, ოდნავ გამოცოცხლებული ბავშვთა კალათბურთი (ისიც თბილისში), მხოლოდ წლების შემდეგ გამოიღებს გარკვეულ ნაყოფს.

სავსებით შესაძლებელია, ზოგს ეს „წლების შემდეგ“ ცოტა მოსაწყენად და მიუღებლადაც მოეჩვენოს, მაგრამ რას ვიზამთ, ვიმკით მხოლოდ იმას, რაც თვითონვე დავთესეთ.

ყველა ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „დინამო“ გულხელდაკრეფილი ელოდოს იმ „ოქროს ხანის“ დადგომას. მართალია, სატურნირო თვალსაზრისით თითქმის არავითარი პრობლემები აღარ არის გადასაწყვეტი —გუნდი რვა უძლიერესს შორის მოხვდა და ესეც საკმაო წარმატებად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ სულ უფრო ახლოვდება წლევანდელი სეზონის მთავარი შეჯიბრება, სულ უფრო ცოტა დრო რჩება სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადამდე და რა გარანტიებიც უნდა გავცეთ ქვეყნის ჩემპიონატში, ჩვენი პრეტენზიები სასპარტაკიადო თვალსაზრისით მაინც განსაკუთრებული იქნება. გუნდის თითოეული წევრი ვალდებულია სერიოზულად მოემზადოს ამ პასუხსაგები გამოცდისათვის.

ი. ბერიაშვილი.

• • •

შაბათ-კვირას გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კიდევ ორი მატჩი.

მოსკოვში ადგილობრივმა „დინამომ“ უმასპინძლა ჩემპიონატის ლიდერს, კაუნასის „ჟალგირისს“. ლიდერმა, სტუმრების გუნდმა მოიგო გამარჯვება იზეიმა — 101:100 (55:55).

კიევის „სტროიტელმა“ შინ მიიღო რიგის ვეფ-ი. მინიმალური სხვაობით გაიმარჯვეს რიგელებმა — 76:75 (34:40).



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 იანვრისთვის

	მ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირ.“	16	3	1882—1629	35
ცსკა	14	5	1833—1551	33
„დინ.“ მ.	11	8	1797—1680	30
რტი მნ.	9	12	1797—1776	30
„სპ.“ ლ.	10	8	1441—1398	28
„სტრ.“ კ.	9	9	1454—1478	27
ვეფ რიგა	4	15	1462—1751	23
„დინ.“ თბ.	3	16	1441—1844	22

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის „დინამოსა“ და მინსკის რტი-ის შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

28—30 იანვარს

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება
თბილისის
XXII ტრადიციული
საერთაშორისო
ტურნირი

თავისუფალ ჭიდაობაში

შეჯიბრებაში გამოვლენ ბულგარეთის, გდრ-ის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, რუმინეთის, კუბის, მონღოლეთის, აშშ-ის, თურქეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს უძლიერესი მოჭიდავეები.

დასაწყისი 11 და 18 საათზე.



მარათონი „სიცოცხლის გზაზე“

ლენინგრადთან გერმანელ-ფაშისტთა განადგურების 39-ე წლისთავს მიეძღვნა ტრადიციული მარათონული გარბენი ლეგენდარული „სასიცოცხლო გზის“ სახმელეთო ნაწილში. ასპარეზობაში მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკის, სვერდლოვსკის, ვოროშილოვგრადის, პეტროზავოდსკისა და სხვა, სულ 54 ქალაქის 400-მდე სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა.

მარათონელებმა სტარტი ლადოგის ტბის ნაპირას აღმართულ „გარღვეული რკალის“ ძეგლთან აიღეს. ასპარეზობის დაწყებამდე აქ პატივი მიაგეს ბლოკადის დღეებში დაღუპულთა ხსოვნას. „ცხოვრების ყვავილის“ ძეგლთან მოწყობილ ფინიშთან, მიუხედავად თოვლისა და ქარბუქისა, პირველი მიიჭრა ლენინგრადის რკინიგზის სატრანსპორტო ინსტიტუტის სტუდენტი ალექსანდრე ფურსოვი (დრო —2:29.43), რომელმაც ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტის“ მიერ დაწესებული მრავალი პრიზიდან ერთ-ერთი დაიმსახურა.

ქალები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 20 კმ დისტანციაზე. გაიმარჯვა სავაგონო დეპოს ინსტრუქტორმა, ლენინგრადელმა რასიმა ხისამუტდინოვამ. 60 წელზე ზევით ასაკის მამაკაცთა შორის 10 კილომეტრზე ყველას აჯობა ლენინგრადელმა ნიკოლოზ კულპაკოვმა. (საკდესი).

ამიტომ დავრბივარ...

— **გიყვარს** სირბილი?

— კი.

— რატომ?

— როდესაც გავრბივარ, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მივფრინავ. ეს მართლაც ასეა. სირბილის დროს ხომ მიწასთან კონტაქტი წამიერია. მივრბივარ და ვგრძნობ, როგორ მემორჩილებიან კუნთები, რა რიტმულად ძგერს ჩემი გული, როგორ მძლავრად მუშაობენ ფილტვები. დეკარტე ამბობდა: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ". მე კი ვიტყვი, როცა დავრბივარ, ვგრძნობ, რომ ვარსებობ. სირბილი მე მამხნევებს. იგი საკუთარი თავისადმი რწმენას მიმტკიცებს.

— თქვენი აზრით რა სიკეთის მოტანა შეუძლია სირბილს?

— სირბილი ჯანმრთელობის შენარჩუნების ყველაზე კარგი საშუალებაა. რბენის დროს სულიერად ვისვენებ, ენერგია მემატება. სირბილი ხელმისაწვდომია სუსტისთვისაც და ძლიერისთვისაც. რბენის დაწყება შეიძლება ყველა ასაკში. ირბინე, როცა გინდა და სადაც გინდა.

—რატომ დარბიხართ?

— იმიტომ, რომ სირბილი არის ყველაზე ბუნებრივი, ყველაზე მარტივი, თვითონ ადამიანის არსებიდან გამომდინარე მოძრაობა. მივრბივარ და ვგრძნობ, ჩემი მოძრაობა თავისუფალია. არც რინგი, არ დარბაზი, არც მოედნის საზღვრები და არც თამაშის წესი. რამდენიმე წელია ყოველდღე დავრბივარ. გადის დრო, იზრდება მანძილი, მატულობს სიჩქარე. სირბილი მეხმარება მოვიპოვო თავისუფლება. მე ვამარცხებ ჩემს სხეულს, ვაიძულებ მას, რომ ირბინოს, მიუხედავად იმისა, სურს თუ არა. შემიძლია ვთქვა — ჩემი სული გათავისუფლდა ხორცის ბატონობისაგან. სულმა თვითონ დაიმორჩილა სხეული.

...მე უკვე საკმაო ხნისა ვარ. ჩემგან არც მსოფლიოს რეკორდსმენი გამოვა და აღარც ქვეყნის ჩემპიონი, მაგრამ სირბილი მაინც ფანატიკურად მიყვარს; რატომ? ვერ გეტყვით. ეს სიყვარული ერთბაშად [illegible] სირბილთან რამდენიმე წლის ურთიერთობის შედეგია.

„ თუ გინდა იყო ძლიერი, ირბინე!

თუ გინდა იყო ჭკვიანი, ირბინე!

თუ გინდა იყო ლამაზი, ირბინე!"

ეს სიტყვები ამოკვეთილია ქვაზე, რომელიც არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს საბერძნეთში. ხალხმა, რომელმაც კაცობრიობას მისცა პირველი ოლიმპიური თამაშები, რომელმაც რბენა აღზრდის ერთ-ერთ საშუალებად გაიხადა, იცოდა სირბილის ფასი და მოდი ჩვენც ნუ შეგვეპარება ეჭვი ამ ჭეშმარიტებაში. მე მხოლოდ დავამატებდი:

— თუ დაღლილი ხარ, ირბინე!

— თუ ავადა ხარ, ირბინე!

— ცუდ გუნებაზე ხარ? მაინც ირბინე!

სირბილი ხომ ენერგიის, ჯანმრთელობისა და სიმხნევის მომნიჭებელია.

ვ. ახალგედაშვილი.

შენი ჯანმრთელობა შენს ხელთაა!

1. რაც უფრო ძლიერი ხარ!..

ვიდრე გვიან არ არის

დიდხანს, ძალზე დიდხანს ვფიქრობდი, მეთქვა თუ არა?.. ისტორიაც ჩემს წინააღმდეგაა. პავლე მარია ფაიანცელი დომინიკიანი (XVII საუკუნის რომაელი მისიონერი): „...ქართველი დედაკაცები ტანმაღალნი და მშვენიერი მოყვანილობისანნი არიან..."; ჟან შარდენი (XVII-XVIII საუკუნეების გამოჩენილი ფრანგი მოგზაური): „...ქართველი ქალები არიან ტანოვანნი, საკვირველად აგებულნი და წელში საოცრად წვრილნი..."; იოსებ დელაპორტი (XVIII საუკუნის კათოლიკე მღვდელი): „...ძნელია წარმოვიდგინოთ უკეთესი მოყვანილობა... წერწეტა ტანისა, და მისი სასიამოვნო რხევისა, რომლითაც განთქმულნი არიან ქართველი ქალები..."

გავიხედოთ ' უფრო შორს: ქსენოფონტე, პტოლომიე, სტრაბონი... თავიანთ მითოლოგიაში (თქმულება არგონავტებზე) ბერძნებმა, რომლებიც სხვას ყველას ბარბაროსებს ეძახდნენ, მხოლოდ ზღაპრული სიუხვისა და ოქროს კოლხეთი ჩათვალეს თავიანთ სწორად და თავიანთ ეროვნულ გმირს იასონს „ნება დართეს" კოლხეთის უმშვენიერესი ასული მედეა მოეტაცებინა. მითოლოგიაში, რა თქმა უნდა, ხალხის, ერის საუკუნოვანი შეხედულებანი, ნაფიქრ-ნააზრი წარმოჩნდება ხოლმე. მიაქციეთ ყურადღება: ბერძენთა აზრით ქართველი ქალი ყველა სხვა ქალზე ლამაზი, ტანმშვენიერი იყო!

არც თუ შორეული წარსული: ქართველი ქალის მშვენებაზე წერდნენ ცნობილი ინგლისელი მეცნიერი ჩარლზ დარვინი, ფრანგი მოგზაური დიუბუა დე მონპერე, დიდი ფრანგი მწერალი ვიქტორ ჰიუგო, ალექსანდრე დიუმა (რომელიც ამბობდა: საბერძნეთი არის გალათეა, ოღონდ მარმარილოსი, საქართველო კი სულჩადგმული და ქალად ქცეული გალათეაა), ბარონ ტორნაუ, ბოროზდინი, პუშკინი, ლერმონტოვი... მარტო ასეთი შედარება რად ღირს: „მე რამდენიმე ქართველი ქალი შემხვდა, რომელშიც შეერთებული იყო სილამაზე და გრაცია. ეს მნათობნი ისე ბრწყინავდნენ ჩრდილოეთის ქალთა შორის, როგორც ვარსკვლავები სამხრეთის ღამის ბნელ ცაზე". ეს სიტყვები ეკუთვნის ფრანგ ლიტერატორს მარკიზ დე კიუსტინს, რომელსაც ნიკოლოზ I-ის დროინდელ რუსეთში უმოგზაურია.

მკითხველი, თქმა არ უნდა, უკვე ფიქრობს იმაზე, რომ ამდენი ცნობილი სახელისა და ციტატის მოყვანით, თითქოს ერთგვარ უსაფრთხოებას ვინაღდებთ... არ ვმალავ, რომ მართლაც ასეა, ცნობილი სიბრძნეა: „რაც უფრო ძლიერი ხარ, მით უფრო ადვილია საკუთარი სისუსტის აღიარება". ასე რომ, ამ ციტატებისათვის მე შემეძლო კიდევ მრავალი დამემატებინა... დამემატებინა თუნდაც ის აღფრთოვანებული სიტყვები, ხალხური ცეკვის საქართველოს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის მოცეკვავე ქალების აღნაგობამ რომ დაიმსახურა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

მკითხველი, ცხადია, იმასაც მოაქცევდა ყურადღებას, რომ ჩვენ ქართველი ქალის მშვენიერების ერთ მხარეზე — გარეგნულ მომხიბვლელობაზე, აღნაგობაზე გავამახვილეთ ყურადღება.

ასეთი ვრცელი შესავლის შემდეგ უკვე შეიძლება ვთქვათ ის, რაც გვსურდა გვეთქვა, თან წინ (მიუხედავად ყოველგვარი ალიბისა!) მეგზურად წავიმძღვარებთ ზემოთ მოყვანილ სიბრძნეს — „რაც უფრო ძლიერი ხარ..."

* * *

უნივერსიტეტი, მოგეხსენებათ, სხვა უმაღლესი სასწავლებლების ფლაგმანად ითვლება. უნივერსიტეტის სტუდენტიც ასევე მეწინავე მგონია. შესაძლოა, ჩემგან—უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისაგან ასეთი განცხადება თავმდაბლობის გამოხატულება არ იყოს, მაგრამ ჩვენ ყველას — განურჩევლად იმისა, ვინ სად სწავლობდა — არა თავმდაბლობის, არა ყოყოჩობის გამო, გულწრფელად ასე გვწამდა... და გვწამს დღესაც.

ყოფილ სასწავლებელში მისვლა, ათი წლის შემდეგ იქნება იგი თუ ერთი წლის შემდეგ, მარტო საუკეთესო განვლილ ხანასთან — სტუდენტურ ცხოვრებასთან მიახლოება კი არა, ერთგვარად ახალ თაობასთან შეხვედრაცაა, იმ თაობასთან, რომელიც შენს შემდეგ მოვიდა...

„უნივერსიტეტული ცხოვრება" აუდიტორიებში კი არ იწყება, უნივერსიტეტის მაჯისცემას უნივერსიტეტის წინ მდებარე სკვერშივე შეიგრძნობთ. ყოფილი უნივერსიტეტელისათვის აქ, როგორც სარკეში, ისე მოსჩანს მთელი უნივერსიტეტის სინამდვილე — დღევანდელობა... ამიტომ, როცა უნივერსიტეტში საქმეზე მისულთ, საკმაო ხნით მოგვიწია ლოდინმა, სწორედ ამ სკვერს მივაშურეთ. მკითხველი ალბათ გაგვიგებს იმ ამაღლებულ, რომანტიკულ განწყობილებას, რომელიც ჩვენდა უნებურად დაგვეუფლა და იმ დღეს ყველაფერი მშვენიერი იყო აქ—სემინარის დაწყების მოლოდინში წიგნებსა და კონსპექტებში თავჩარგულ სტუდენტთა ჩაფიქრებული სახეები, ლექციის შემდეგ დასასვენებლად სკვერში ჩამოსულთა სიცილ-კისკისი, ანცობაც... უნივერსიტეტში შემსვლელ-გამომსვლელთა აქა-იქ ნაცნობი და, ცხადია, ასობით უცნობი სახე! მეგობართა და თანაკურსელთა შეხვედრები და საუბარი... — ერთი სიტყვით, ყველაფერი მშვენიერი იყო იმ დღეს, მაგრამ...

მაგრამ, ერთმა რამემ სერიოზულად ჩაგვაფიქრა, მეტად ჩაგვაფიქრა და შეიძლება ითქვას, რომ გუნება-განწყობილებაც გაგვიფუჭა. ქართველი გოგო-ბიჭების აღნაგობამ, აგებულებამ გაგვაოცა — **მათმა ჩასუქებულმა, ზონზროხა, დონდლო, ფუმფულა და უპროპორციო სხეულებმა დაგვწყვიტა** გული. რა თქმა უნდა ეს ყველას არ ეხება, მაგრამ ეს ისეთ შესამჩნევ სენად ქცეულა, რომ ღირს (თუ გვიანი არაა!) ამაზე სერიოზული დაფიქრება. დავუშვათ, ვაჟი კიდევ დაიმშვენებს ამ სიმსუქნეს, მაგრამ გოგონები? — ჩვენი სათაყვანებელი და ძვირფასი გოგონები?! გოგონები, რომელთაც საოცრად უყვართ და უხდებათ კოპწიაობა, რომლებიც სულ უმნიშვნელო ნაკლსაც კი საოცრად მტკივნეულად განიცდიან ხოლმე! აბა, რომელი გოგონა არ ოცნებობს, იყოს ყველაზე ლამაზი, მოქნილი, ტანწერწეტა და სხარტი? იმ ახალგაზრდათაგან კი, რომელთაც მე მხოლოდ დიდი სიყვარულისა და პატივისცემის გამო ვაკრიტიკებ, უმრავლესობა სწორედ ქალიშვილები იყვნენ!.. ამ ახალგაზრდებში ბევრი შესაშური აღნაგობის გოგონა ერია, მაგრამ ამათგან ხუთიდან ოთხი, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, არაქართველი იყო.

უკანასკნელ ხანებში საკმაოდ მომრავლდა ჯანმრთელობის კრებები. მაგრამ არსებული არ გვაძლევს თვითდამშვიდების უფლებას. ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების გასამრავლებლად ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ყველაზე სანაქებო ქალაქებშიც კი. მაგრამ გაჩნდა მეორე პრობლემაც: მართალია, არ გვყოფნის არსებულ ფიზკულტურულ-სპორტულ ნაგებობათა რაოდენობა, არ გვაკმაყოფილებს ბევრის ხარისხი, მაგრამ **ვიყენებთ თუ არა მათ, რაც ჩვენს ხელთ არსებობს?**

და აი, სამიოდე წლის წინათ გაზეთ „ლელოს" ფურცლებზე გაჩნდა წერილი (შემდეგ — რუბრიკაც) — „დრო გამონახეთ, მამებო!". როგორც სათაურიდან ჩანს, წერილი ეხებოდა პრობლემის გადაწყვეტის ერთ ასპექტს — საზოგადოების აქტიურ პოზიციას, კერძოდ — მშობლების მნიშვნელოვან როლს მოზარდის ფიზიკურად აღზრდის საქმეში.

აქცენტის გადატანა მშობლებზე, წერილის ავტორს, რა თქმა უნდა, შემთხვევით არ მოსვლია აზრად. მართლაც, ბევრ ქართულ ოჯახში არასწორი წარმოდგენა აქვთ ბავშვის სწორ, ჰარმონიულ აღზრდაზე. ბუნებრივია, ყველას სურს, რომ თავის შვილს საფუძვლიანი განათლება მისცეს. მაგრამ, ამ სურვილის შესრულებას ხშირად, რაოდენ პარადოქსულადაც არ უნდა გვეჩვენოს, ჩვენვე ვცდილობთ წინ: თუ ბავშვმა არ მოამზადა რომელიმე გაკვეთილი (ან გააცდინა, ვთქვათ მუსიკის თუ უცხო ენის შემსწავლელი წრის მეცადინეობა) შევწუხდებით, ბავშვსაც ვსჯით. მაგრამ თუ არ შეასრულა დილის გამაჯანსაღებელი ვარჯიში, ან არ წავიდა სპორტული სექციის მეცადინეობაზე, ამაზე არ ვრეაგირებთ. თუ მიზეზიც „საპატიოა" — ვთქვათ, სპორტული სექციის მეცადინეობა მსხვერპლად ეწირება გაკვეთილის მომზადებას, აღფრთოვანებას ვერ დავმალავთ ჩვენი ბავშვის გონიერებით გახარებულები და მისი „ბედნიერი მომავლით" დაიმედებულნი. არადა, ჯერ კიდევ ძველმა ბერძნებმა იცოდნენ, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია!". ანტიკური სამყაროს უდიდესი ფილოსოფოსი პლატონი კოჭლს უწოდებდა წერის უცოდინარსაც და იმასაც, ვინც ცურვა არ იცოდა... განა კურიოზული არ არის ის, რომ დღეს, ჩვენს დროში, ვინმეს სჭირდებოდეს იმის შეხსენება, რომ ფიზიკურად კარგად ნაწრთობი და ჯანსაღი ბავშვის გონებრივი შესაძლებლობებიც გაცილებით მეტია, ვიდრე ულონოსი და სუსტისა?! მაშ რატომ გადაგვაქვს მეორე პლანზე, ან საერთოდ არ ვაქცევთ ყურადღებას ფიზკულტურას? იმას, რაზეც ფაქტობრივად უნდა ვაგებდეთ ჩვენი შვილების ბედნიერ, ჩვენთვის სასურველ მომავალს. განა საოცარი არ არის, რომ „ლელოში" გამოქვეყნებულ წერილს სულ ოთხი თუ ხუთი კაცი გამოეხმაურა? რატომ ვართ ასეთი გულგრილნი? იქნებ გაზეთში გამოქვეყნებული წერილი იმდენად გონივრული და იმდენად დროული იყო, რომ უსიტყვოდ მივიღეთ იგი? კეთილი, მაგრამ პრობლემა რომ დღესაც ისეთივე სიმწვავით დგას? დღესაც რომ ძალზე ბევრი გვყავს ოჯახი, სადაც ბავშვის „ბედნიერ მომავალზე" მზრუნველნი, ცოტა არ იყოს ალმაცერად უყურებენ ფიზკულტურას? შედეგი კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, სახეზეა!

* * *

...პრობლემა მაინც არ მოხსნილა დღის წესრიგიდან და დღეს გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთერთ მნიშვნელოვან საკითხზე — მოზარდ გოგონათა ფიზიკურ აღზრდაზე.

რატომ არ დადიან ქართველი გოგონები ფიზკულტურულ წრეებში ისე, როგორც მათი თანატოლი ბიჭები ან სხვა ერის წარმომადგენლები?

როგორც ჩანს, ამის „ობიექტური" მიზეზი არსებობს. ქართველი ქალი ოდითგანვე გამორჩეული იყო თავისი კდემამოსილებით, სიდინჯით... მოხდა ისე, რომ დღის ამ ტრადიციიდან მხოლოდ ოჯახური აღზრდის კონსერვატორული დასკვნა და აღზრდის მეთოდი შემოგვრჩა.

ვერ ვიტყვით, რომ სანაქებო მეთოდია, ერთის მხრივ თითქოს ძალზე ვუფრთხილდებით გოგონას მომავალ ქალურ და მოქალაქეობრივ ბედნიერებას, მაგრამ მეორეს მხრივ, — ჩვენ თვითონ ვამუხრუჭებთ მას: ჯერ ერთი — რაც უფრო კონსერვატულია ჩვენი ოჯახური აღზრდის სისტემა, მით უფრო მძაფრი და ძლიერია მოზარდის უკურეაქცია, წინააღმდეგობა. რასაც ხშირად „მოულოდნელი" სამწუხარო შედეგიც მოჰყვება ხოლმე, არა გვგონია, რომ ქალის ბედნიერებისათვის მის მშვენიერ სულიერ სამყაროზე, განათლებაზე ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდეს გარეგნულ მიმზიდველობას, მოქნილობას, სისხარტეს. ალბათ არავის მოეჩვენება „რეაქციულ" აზრად, თუ ვიტყვით, რომ — უფრო მეტიც: ქალის გარეგნულ მიმზიდველობას (როგორც ქალების აზრით, ასევე, ცოდვა გამხელილი სჯობია და, ჩვენი მამაკაცების აზრითაც) პირველხარისხოვანი მნიშვნელობაც კი აქვს. უბრალოდ, მოდი, დავფიქრდეთ, რამდენჯერ გაგვიგონია აღტაცებული შეძახილი: „რა მშვენიერი ქალია (გოგონაა)?!" და, მის გვერდით, რამდენჯერ გვსმენია: „რა ჭკვიანი ქალია (გოგონაა)?!"...

ეს წამოჭრილი საკითხის, ასე რომ ვთქვათ, ესთეტიკური მხარე. არსებობს მეორე უფრო მნიშვნელოვანი მხარეც — მოვალეობა მომავალი თაობის, ერის წინაშე. დღევანდელი გოგონა ხომ ხვალინდელი დედაა. განა საჭიროა დღეს იმის მტკიცება, რომ ჯანსაღ, ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარებულ დედას ჯანსაღი პირმშო ეყოლება?!. ასე რომ, სანამ გვიან არ არის, მშობლებმა აქედანვე უნდა ვიზრუნოთ ჩვენი გოგონების მომავალ ბედნიერ ქალობაზე და დედობაზე. აღვზარდოთ ისინი როგორც განათლებულნი, გონიერნი, ასევე უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურად განვითარებულნი, მშვენიერნი, მოხდენილი აგებულებისანი, მოქნილნი—ისეთნი, როგორებსაც მუდამ აღტაცებაში მოჰყავთ მნახველი. გადავდოთ გვერდზე „გადაუდებელი" საქმეები, მაქსიმალურად გამოვიყენოთ მოზარდთა ფიზიკური წრთობისათვის ჩვენს ხელთ არსებული და მისაწვდომი ყველა საშუალება... როცა მოზარდის აღზრდაზეა საუბარი, მუდამ დიდი ვაჟას ბრძნულად ნათქვამი მახსენდება ხოლმე: „ვინც ბალღებს კეთილგონიერულად ზრდის, იგია ამზრდელი და გამბედნიერებელი ერისა". ჭეშმარიტად! აი, რა უნდა მივიღოთ უსიტყვოდ და უყოყმანოდ!

მურად ჟანტურია.

სპარტაკიადისთვის მოსამზადებლად

როგორც ჩვენს გაზეთში უკვე იყო გამოქვეყნებული, 1983 წლის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდა ფეხბურთელები (1963 წელს დაბადებულნი). გამოქვეყნდა ისიც ცნობაც, რომ საქართველოს გუნდი მონაწილეობას მიიღებს ივანოვოში გამართულ წინასწარ შეჯიბრებაში, სადაც მასთან ერთად იასპარეზებენ ლენინგრადის, მოლდავეთისა და ტაჯიკეთის გუნდები. ამ ჯგუფიდან 2 გამარჯვებული გავა ფინალში, ხოლო თვით წინასწარი შეჯიბრება ივანოვოში დაიწყება 12 ივნისს.

საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. ელოშვილი, მწვრთნელებად — სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. ზაზროევი და სპორტის ოსტატი ა. ილიადი. გუნდის უფროსია საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კ. ყრუაშვილი, ექიმი — თ. ქუთათელაძე.

საქართველოს ნაკრებში, რომელიც მზადებას გაივლის სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის, შერჩეული არიან თბილისის, ქუთაისის, ლანჩხუთის, სამტრედიის, სოხუმის, ბათუმის, გორისა და ტყიბულის ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომელთაგან დაკომპლექტდება ძირითადი სასპარტაკიადო ნაკრები.

კანდიდატთა შორის არიან: მურჯიკნელი, არზიანი, გურული, ლოგუა, ჭედია, გოგრიჭიანი, ბარათაშვილი, კუდინოვი, პაიკიძე, შენგელია, სანიკიძე, დოჩია, ჭელიძე, კუცია, ჭანტურია, გერაძე, მახარაძე და სხვანი.

საკონტროლო მატჩები

ლესელიძის სპორტულ ბაზაზე გაიმართა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონის — კიევის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შორის.

თამაში მოიგეს კიეველებმა ანგარიშით 4:0. 2 ბურთი გაიტანა ბლოხინმა.

ქუთაისის „ტორპედომ" მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: ქანთარია, გვაძაბია, ჭელიძე, თავაძე, კურტანიძე, ქორიძე, კორდალიძე, გორგოძე, მეგრელაძე, მხატვარი, კვერნაძე.

ამავე გუნდების სათადარიგო შემადგენლობათა მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0. ქუთაისელთა რიგებში გამოდიოდნენ გაბელია, კოსტავა, ხიზანიშვილი, დარჯანია და სხვანი.

დ. თორაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ჭაბუკთა ტურნირი ტაილანდში

ბანგკოკი. ჭაბუკთა (18 წლამდე ასაკის) 9 ნაკრებმა (მათ შორის სსრ კავშირის გუნდმაც) თანხმობა განაცხადა მონაწილეობა მიიღოს საფეხბურთო ტურნირში, რომელიც აქ 28 იანვარს დაიწყება და 10 თებერვლამდე გასტანს.

ჩვენი გუნდი მოხვდა „ა" ჯგუფში, რომელშიც აგრეთვე გამოდიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, მალაიზიის, ინდონეზიის ნაკრებები და ტაილანდის პირველი გუნდი.

„ბ" ჯგუფში ითამაშებენ უნგრეთის, პოლონეთის, კატარის, სამხრეთ კორეის ნაკრებები და ტაილანდის მეორე გუნდი.

ნახევარფინალურ მატჩებში ერთმანეთს შეხვდებიან ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გასული გუნდები. (საქინფორმი).

ბრაზილიელები ჩამოდიან ევროპაში

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები თითქმის ყოველ წელს ჩამოდის ევროპაში, სადაც რამდენიმე ამხანაგურ საერთაშორისო მატჩს მართავს კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებ გუნდებთან. ბრაზილიელებმა ეს ტრადიცია არ დაარღვიეს შარშანაც, როცა ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ჩამოვიდნენ აქ ვიზიტად. სულ ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები კვლავ ეწვევიან ევროპას.

ამის შესახებ ახლახან ოფიციალურად გამოცხადდა რიო-დე-ჟანეიროში, რომ ბრაზილიელ ფეხბურთელთა ვიზიტი გაიმართება ივნისში.

ტურნე ასეა დაგეგმილი: 8 ივნისს ბრაზილიელები ლისაბონში შეხვდებიან პორტუგალიის ნაკრებს (ეს მატჩი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ პორტუგალიელები სსრ კავშირის ნაკრების მეტოქეები არიან ევროპის ჩემპიონატის II შესარჩევ ჯგუფში), 12 ივნისს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ერთ-ერთ ქალაქში ეთამაშებიან მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს, ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს, შემდეგ, 17 ივნისს, ბრაზილიელები ბაზელში ითამაშებენ შვეიცარიის ნაკრებთან, 21 ივნისს გეტებორგში შეხვდებიან შვეციის გუნდს.

ბრაზილიელთა ამ ტურნეში დაგეგმილია ორი მატჩი ძლიერ მეტოქეებთან (პორტუგალია, გფრ) და ორიც — შედარებით სუსტ გუნდებთან (შვეიცარია, შვეცია).

რიო-დე-ჟანეიროში ისიც გამოცხადდა, რომ ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებს ევროპაში თან გაჰყვება ვეტერანთა გუნდიც, რომელმაც თავისებური საიუბილეო მატჩი უნდა გამართოს შვეციის ნაკრებთან. ცნობილია, რომ 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში, რომელიც 29 ივნისს სტოკჰოლმში შედგა, ბრაზილიის ნაკრებმა შვეციის გუნდი ფინალში დაამარცხა ანგარიშით 5:2 და პირველად მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა. ბრაზილიელები ახლა ირწმუნებიან, რომ შვეციაში მიჰყავთ თავიანთი იმდროინდელი „ნალები", წარსულის გამოჩენილი ვირტუოზები — ჟილმარი, ჯ. და ნ. სანტოსები, ბელინი, ორლანდო, ზიტო, დიდი, ვავა, ზაგალო, პელე და სხვანი და იმედი აქვთ, რომ შვედებიც მაქსიმალურად შეეცდებიან გამოიყვანონ ის შემადგენლობა, რომელიც მათ 25 წლის წინათ ჰყავდათ ფინალურ მატჩში.

* * *

ბრაზილიელ ფეხბურთელთა მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით ევროპაში დიდ ინტერესს იწვევს ამ ქვეყნის ვეტერანთა ხტუმრობაც. ცნობილია, რომ სწორედ შვეციის ჩემპიონატზე მოევლინა პირველად საერთაშორისო ფეხბურთს პელე, რომელიც შემდგომში ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს მსოფლიოში.

* * *

სურათზე: ბრაზილიისა და შვეციის 1958 წლის ფინალური მატჩი. ბურთისთვის იბრძვის 17 წლის პელე (შუაში).

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები.

მადრიდის „რეალმა" ფრედ — 0:0 დაამთავრა შეხვედრა ესპანეთის დედაქალაქის მეორე გუნდთან — „ატლეტიკოსთან" და კვლავ განაგრძობს ლიდერობას ამ ქვეყნის ჩემპიონატში. მან 21 მატჩში 32 ქულა დააგროვა. სტუმრად „სევილიასთან" დამარცხების — 1:2 მიუხედავად 30 ქულით მეორე ადგილს ინარჩუნებს ბილბაოს „ატლეტიკო". ეს შეხვედრა ძალზე მწვავე ბრძოლით აღინიშნა. მსაჯი იძულებული იყო მეტოქეთა 2-2 ფეხბურთელი გაეძევებინა მინდვრიდან.

„ბარსელონამ" ფრედ ითამაშა სარაგოსას „რეალთან" და 29 ქულით მესამე ადგილზეა. „ბარსელონა" ხვალ სუპერთასის გადამწყვეტ მატჩში ინგლისის საკლუბო გუნდ „ასტონ ვილას" შეხვდება. მათი პირველი თამაში დამთავრდა ესპანელთა გამარჯვებით 1:0.

იტალიის ჩემპიონატის მეჩვიდმეტე ტურში ფრედ აღინიშნა ლიდერების — „რომას" და „ვერონას" მატჩი. ახლა „რომას" 25, ხოლო „ვერონას" 23 ქულა აქვთ. მესამე ადგილზეა „ინტერი" — 21.

ჰოლანდიის პირველობაზე კი ორი ძველი მეტოქე ლიდერობს — „აიაქსი" და „ფეიენოორდი", რომლებსაც 19-19 თამაშის შემდეგ 30-30 ქულა აქვთ. ბოლო ტურში ყველაზე მეტი გოლი „აიაქს" — „გრონინგენის" შეხვედრაში გავიდა, რომელიც დამთავრდა ფრედ — 5:5.

აფრიკის № 1 სპორტსმენი

1982 წლის შედეგების მიხედვით აფრიკის №1 სპორტსმენად აღიარეს 23 წლის ალჟირელი ფეხბურთელი სალახ ასადი, რომელიც ამჟამად საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „მილუზაში" თამაშობს.

ეს გამოკითხვა ჩაატარა ფრანს პრესის სააგენტომ.

მსოფლიოს ფეხბურთის ამბები

„პილკა ნოჟნას" აზრით

საუკეთესონი პოლონეთში

პოლონეთის ნაკრები წლეულს საბჭოთა ფეხბურთელების ერთ-ერთი მთავარი მეტოქეა ევროპის პირველობის საგზურისთვის ბრძოლაში. ეს ნაკრები, როგორც ცნობილია, გულდაგულ ემზადება კიდეც მწვრთნელ ვ. პეხნიჩეკის ხელმძღვანელობით.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა პოლონეთის უძლიერესი ფეხბურთელების თავისებური „რანგოლისტი" (ძალთა შედარებითი ნუსხა), რომელიც ვარშავის ყოველკვირეულმა ჟურნალმა „პილკა ნოჟნამ" („ფეხბურთი") გამოაქვეყნა. მან ეს მოთამაშეები სამ ნაწილად: საერთაშორისო კლასის, ნაკრების კლასის და ეროვნული კლასის ფეხბურთელებად დაჰყო.

ახლა გავეცნოთ ამ უძლიერეს პოლონელ ფეხბურთელებს.

მეკარე: საერთაშორისო კლასის მეკარედ მიჩნეულია მლინარჩიკი („ვიძევი"), რომელმაც, როგორც ცნობილია, თავი გამოიჩინა მსოფლიო ჩემპიონატზე. მლინარჩიკი 29 წლისაა. ნაკრების კლასის მეკარედ ჟურნალი თვლის 23 წლის კაზიმირსკის („ლეგია"), რომელმაც, სხვათა შორის, ორჯერ ითამაშა თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ, ესპანეთში სათადარიგო მეკარე იყო, ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებში კი ავადმყოფ მლინარჩიკს ცვლიდა. ეროვნული კლასის მეკარედ დასახელებულია 11 ფეხბურთელი. მათ შორის მოვლიკი („ლეხი") და კოსტუევა („შლიონსკი") ნაკრებში ხშირად გამოდიან.

მარჯვენა მცველი. საერთაშორისო კლასი — არავინ.

ნაკრების კლასის ფეხბურთელად მიჩნეულია 27 წლის ძიუბა („ლკს"), რომელიც ესპანეთში გამოდიოდა და შემდეგ ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებშიც მონაწილეობდა.

სტოპერი. საერთაშორისო კლასი — ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე ჟმუდა. იგი 28 წლისაა. მსოფლიო ჩემპიონატამდე გამოდიოდა „ვიძევში", ახლა იტალიის პირველი ლიგის კლუბ „ვერონაში" თამაშობს. სერიოზული ტრავმის გამო ჟმუდა კარგა ხანს „ისვენებდა".

ნაკრების კლასი — ასეთად ჟურნალს არავინ მიაჩნია. როდესაც ჟმუდა არ თამაშობდა, მას ცვლიდა 24 წლის დოლნი („გურნიკი"), იგი ესპანეთში არ გამოდიოდა, მაგრამ პოლონეთის პირველობის მატჩები მაღალ დონეზე წარმართა. დოლნი და მასთან ერთად კიდევ 10 მოთამაშე „პილკა ნოჟნას" ეროვნული კლასის ფეხბურთელებად მიაჩნია.

წინა სტოპერი. საერთაშორისო კლასი — 29 წლის იანასი, რომელმაც „ლეგიას" შემადგენლობაში ითამაშა თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ. ახლა იგი საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „ექსერის" შემადგენლობაშია. ნაკრების კლასი — არავინ. ეროვნული კლასი — 24 წლის ვოიჩიცკი („ვიძევი"), რომელიც ესპანეთში სათადარიგო მოთამაშე იყო და ხანდახან გამოდიოდა მინდორზე, 22 წლის კრული („შლიონსკი"), რომელზეც ახლა დიდ იმედებს ამყარებენ და ნაკრებშიც „დებიუტი" ჰქონდა. მათთან ერთად დასახელებულია კიდევ 8 მოთამაშე.

მარცხენა მცველი. საერთაშორისო კლასი — არავინ. ნაკრების კლასი — ფრიად გამოცდილი მოთამაშეები 26 წლის მაევსკი („ლეგია") და 25 წლის იალოსა („ვისლა"). ეროვნული კლასის 10 მოთამაშეს შორის მილევსკი („ლეგია") და რუდი („ზაგლებიე") საკმაოდ ხშირად გამოდიან ნაკრების შემადგენლობაში.

მარჯვენა ნახევარმცველი. საერთაშორისო კლასი — 21 წლის მატისეკი („გურნიკი"). ეს ახალგაზრდა ფეხბურთელი, პოლონელი მიმომხილველების აზრით, სუსტი იყო ესპანეთში, უფრო სწორად, დიდი ფსიქოლოგიური დაძაბულობის გამო ვერ გამოამჟღავნა თავისი შესაძლებლობები. რაც შეეხება პოლონეთის პირველობას, აქ მატისეკი საუკეთესოა. ნაკრების კლასი — არავინ.

ცენტრალური ნახევარმცველი. საერთაშორისო კლასი — 27 წლის კუპცევიჩი („ლეხი"), რომლის თამაშმა ესპანეთში ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ნაკრების კლასი — 22 წლის ბუდა („სტალი").

მარცხენა ნახევარმცველი. საერთაშორისო კლასი — 23 წლის ბუნცოლი („ლეგია"). იგი 1982 წელს № 1 ფეხბურთელად ცნეს პოლონეთში. თამაშობდა ესპანეთში, ძალიან კარგად — ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩებში. ნაკრების კლასი — 26 წლის ციოლეკი („სტალი"). იგი ესპანეთში სათადარიგო მოთამაშე იყო და ხანდახან გამოდიოდა მინდორზე.

მარჯვენა გარემარბი. საერთაშორისო კლასი — არავინ. ნაკრების კლასი — 20 წლის ძეკანოვსკი („გვარდია"), რომელიც მწვრთნელ პეხნიჩეკის აღმოჩენად ითვლება და უკვე სისტემატურად მონაწილეობს ნაკრების მატჩებში. ეროვნული კლასის 7 მოთამაშეს შორის ორი ცნობილი ოსტატია. ესენი არიან 30 წლის ოგაზა („შომბერკი") და 28 წლის კუსტო („ლეგია"), რომლებსაც არაერთხელ უთამაშიათ ნაკრებში.

ცენტრალური თავდამსხმელი. საერთაშორისო კლასი — 26 წლის ბონეკი (ტურინის „იუვენტუსი"), პოლონური ფეხბურთის საყოველთაოდ აღიარებული ვარსკვლავი. ნაკრების კლასი — 22 წლის ბარჩიკი („გვარდია"). ეროვნული კლასის 7 მოთამაშეს შორის არიან ცნობილი ფეხბურთელები — 22 წლის პალაში („გურნიკი") და 23 წლის ივანი („ვისლა"), რომლებიც ნაკრებშიც გამოდიან.

მარცხენა გარემარბი. საერთაშორისო კლასი — არავინ. ნაკრების კლასი — 25 წლის სმოლიარეკი („ვიძევი") და 24 წლის ოკონსკი („ლეხი"). სმოლიარეკი წარმატებით თამაშობდა ესპანეთში, ოკონსკი კი მაშინ ნაკრების შემადგენლობაში არ ყოფილა. ეროვნული კლასის 7 მოთამაშეს შორის დასახელებულია 21 წლის ტუროვსკი („ლეგია"), რომელსაც სპეციალისტები ძალიან აქებენ.

ამ სიას ჟურნალი ზოგიერთ შენიშვნასაც დაურთავს. მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 22 ფეხბურთელიდან წარმოდგენილია 20, ლატოსა და შარმახის გარდა, რომლებიც თუმცა კლუბებში განაგრძობენ თამაშს, მაგრამ ასაკის გამო ნაკრებს გამოეთხოვნენ.

გ. გამრეკელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჭაბუკ ძიუდოისტთა რესპუბლიკური პირველობა

პერსპექტივა — მოსწავლეთა საკავშირო

ორი აზრი არ არსებობს იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკური ჩემპიონატები თუ პირველობები სპორტის ნებისმიერ სახეობაში სწორედ ის შეჯიბრებებია, რომელთა სათანადო დონეზე ჩატარება საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე წარმატებით გამოსვლის გარანტიას იძლევა. სასიამოვნო ფაქტია, რომ ბოლო ხანებში საქართველოს სპორტკომიტეტი დიდი ყურადღებით ეკიდება ამგვარ ღონისძიებებს. ნიმუშად ტყიბულში მოწყობილი ჭაბუკ ძიუდოისტთა რესპუბლიკური პირველობა იკმარებდა, რომელიც მართლაცდა სპორტულ ზეიმად იქცა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდა 250 სპორტსმენი. ასეთი შეჯიბრებებისთვის ეს სარეკორდო ციფრია. პაექრობას იმანაც შემატა ეშხი და სიმწვავე, რომ ფაქტიურად აქ გამოვლენილი პერსპექტიული მოჭიდავეებისაგან უნდა დაკომპლექტდეს ნაკრები, რომელიც მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადაში დაიცავს ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას.

ახალი სახელების გამოჩენა ყოველთვის გვახარებს. ორმაგად გაგვახარა იმან, რომ არა თუ კარგად იასპარეზეს, ჩემპიონებიც მოგვევლინენ იმ რაიონებიდან, საიდანაც რესპუბლიკის ნაკრები ადრე შევსებას ვერ ღებულობდა. თავიანთ წონით კატეგორიებში I ადგილები მოიპოვეს ახმეტელმა ლ. შაშიაშვილმა, საგარეჯოელმა ს. მეკოკიშვილმა, ზესტაფონელმა გ. მჭედლიძემ, მცხეთელმა გ. რთველიაშვილმა...

რა თქმა უნდა, გამოვლინდა ნაკლიც, პირველ ყოვლისა, გორისა და კასპის რაიონებისა, რომლებმაც ერთგვარად დათმეს პოზიციები. ტექნიკურ-ტაქტიკური მომზადების თვალსაზრისით უხეიროდ გამოიყურებოდნენ გარდაბნის, ბათუმის, ხაშურის, ფოთისა და რუსთავის წარგზავნილები. როგორც ჩანს, ზემოხსენებულ რაიონებში ამ მიმართებით ძალზე ბევრია გასაკეთებელი.

საერთო პირველი ადგილი მოიპოვა თბილისის გუნდმა — 27,5 ქულა, მეორეზეა ახმეტა — 21, მესამეზე — გორი 19.

გთავაზობთ საპრიზო ოთხეულებს წონითი კატეგორიების მიხედვით:

53 კგ. 1. ს. მეკოკიშვილი (საგარეჯო, „კოლმეურნე“, მწვრთნელი ბ. მარიდაშვილი), 2. გ. ჯანგირაშვილი (დუშეთი), 3. გ. კაპანაძე და მ. ხუბეჯაშვილი (ორივე — ახმეტა).

57 კგ. 1. გ. მოდებაძე (თბილისი, „განთიადი“, მწვრთნელი ხ. წიკლაური), 2. გ. მასურაშვილი (ქარელი), 3. რ. აბუაშვილი (თბილისი) და ს. ხაჩიროვი (გორი).

62 კგ. 1. ლ. შაშიაშვილი (ახმეტა, „კოლმეურნე“, მწვრთნელი გ. აბრამიშვილი), 2. გ. მღებრიშვილი (ქარელი), 3. გ. დურსაკოვი და ნ. ბაზალელი (ორივე — თბილისი).

68 კგ. 1. გ. ჩურჩხელაშვილი (ახმეტა, „კოლმეურნე“, მწვრთნელი გ. აბრამიშვილი), 2. ა. ჯავაშვილი (დუშეთი), 3. თ. ჭელიძე (სოხუმი) და გ. საბაშვილი (გორი).

75 კგ. 1. ზ. მჭედლიძე (ზესტაფონი, „განთიადი“, მწვრთნელი ჯ. ჯანიაშვილი), 2. ს. მეგუთნიშვილი (თელავი), 3. მ. ბექაური (მცხეთა) და კ. ამბოკაძე (გარდაბანი).

88 კგ. 1. გ. რთველიაშვილი (მცხეთა, „დინამო“, მწვრთნელი ნ. ნინიაშვილი), 2. ვ. ჯინჭარაძე (თბილისი), 3. ი. გრძელიშვილი (ახმეტა), ზ. ამბარდანოვი (გორი).

88 კგ. 1. ვ. პარუნაშვილი (თბილისი, „დინამო“, მწვრთნელი ო. ნატროშვილი), 2. გ. დუგლაძე (ზესტაფონი), 3. გ. სადაგაშვილი (გორი) და ბ. შალამბერიძე (ზესტაფონი).

ვ. კბილაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

• • •

სურათებზე: გამარჯვებულნი წონითი კატეგორიების მიხედვით: ს. მეკოკიშვილი, გ. მოდებაძე, ლ. შაშიაშვილი, გ. ჩურჩხელაშვილი, ზ. მჭედლიძე, გ. რთველიაშვილი, ვ. პარუნაშვილი.

მასპინძლობს ბაკურიანი

უკანასკნელ წლებში ბაკურიანი შეეჩვია ქვეყნის უძლიერეს მოთხილამურეთა მასპინძლობას. აი, ამჯერადაც ზამთრის სპორტის ამ პოპულარულ ცენტრში თავი მოიყარეს ჩვენმა საუკეთესო მორბენალ-მოთხილამურეებმა. ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატებმა რაისა სმეტანინამ, ზინაიდა ამოსოვამ, ევგენი ბელიაევმა, ნიკოლოზ ბაჟუკოვმა, ნიკოლოზ ზიმიატოვმა და სხვებმა, რომლებიც საკავშირო თასის გათამაშებაში მონაწილეობენ.

გუშინ სტარტი მხოლოდ ქალებმა ჰქონდათ. ისინი 5-კილომეტრიან დისტანციაზე ასპარეზობდნენ ეგრეთ წოდებული იმერლების ველზე. 45 მონაწილეს შორის საუკეთესო იყო რ. სმეტანინა („უროჟაი“, სიქტივკარი). მან დისტანცია 15 წუთსა და 29 წამში დაფარა. მეორე ადგილზე გავიდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი 23 წლის ლიუბოვ ზიმიატოვა (საბჭოთა არმია, მოსკოვი) — 15,45, მესამეზე — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი 26 წლის ლიუბოვ ზაბოლოტსკაია („ზენიტი“, ლენინგრადი) — 15,56, მომდევნო ორი შედეგი აქვთ სპორტის ოსტატს მარინა ვასინას („დინამო“, ტოლიატი) — 15,58 და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ირინა სუსლოვას (საბჭოთა არმია, მოსკოვი) — 16,00. ამჯერად სუსტად იასპარეზა გამოცდილმა სვერდლოვსკელმა სპორტსმენმა ზინაიდა ამოსოვამ. მისი შედეგი 16,21, მხოლოდ მე-12 იყო.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის მრბოლელი ქალებიდან ასპარეზობაში არავინ მონაწილეობდა.

— პირველ ხუთ ადგილზე გასული სპორტსმენები ამ დღეებში გაემგზავრებიან იუგოსლავიაში, სარაევოს ტრასების „მოსასინჯად“,— გვითხრა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ვ. კამენსკიმ. — მანამდე კი ისინი სხვებთან ერთად ბაკურიანშივე გაითამაშებენ ქვეყნის ჩემპიონატს.

დღეს რბოლის სტარტებზე გამოვა 50-მდე ვაჟი, რომლებიც ერთმანეთს 15 კილომეტრზე შეეჯიბრებიან.

ო. ნოზაძე.

(ტელეფონით, „ლელოს“ საკუთ. კორ).

ბაკურიანი.

პანორამა

● ფარიკაობა

„მოსკოვური ხმლის“ მეთერთმეტე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეს 22 წლის კიეველმა გ. პოღოსოვმა გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა უნგრეთის ერთ-ერთი უძლიერესი მოფარიკავე დ. ნებალდი და ყოველკვირეულ გაზეთ „სპორტივნაია მოსკვას“ პრიზს დაეუფლა. ფინალისკენ მიმავალ გზაზე პოღოსოვმა ჩამოიშორა აგრეთვე ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოველი ვ. კროვოპუსკოვი და მსოფლიოს ექს-ჩემპიონი უნგრელი პ. გერევიჩი. მეორე ადგილზე გავიდა ნებალდი, მესამეზე — გერევიჩი.

● წყალბურთი

დასავლეთ ბერლინი. საერთაშორისო ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრა ადგილობრივ ნაკრებთან სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცსკ-ს წყალბურთელებმა წააგეს ანგარიშით 7:8 და II ადგილზე გავიდნენ. მომდევნო ადგილებზე არიან ჰოლანდიის, უნგრეთისა და იუგოსლავიის სპორტსმენები (საკდესი).

● ჩოგბურთი

ვენა. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო თასის გათამაშებაში საბჭოთა ჩოგბურთელებმა ანგარიშით 2:1 აქაც სძლიეს ავსტრიის ნაკრებს, მაინც ვერ გავიდნენ შეჯიბრების ფინალურ ტურნირში. კროულში (ინგლისი) კორტის მასპინძლებმა დაამარცხეს გფრ-ის ნაკრები — 2:1 და დასავლეთგერმანელ ჩოგბურთელებთან ერთად აგრძელებენ ბრძოლას. მეორე ჯგუფიდან ფინალში გავიდნენ შვეციისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

ავსტრიელებთან დასკვნით მატჩში კონსტანტინე პუგაევმა მოუგო ნორბერტ ტოიფელბერგერს — 6:4, 6:2, ხოლო ალექსანდრე ზვერევი დამარცხდა რობერტ რაინინგერთან — 6:2, 6:7, 2:6. წყვილთა თანრიგში ვ. ბორისოვ-პუგაევის დუეტმა სძლია პ. კარისა და რაინინგერს — 6:3, 7:5. (საკდესი).

* * *

ნიუ-იორკი. კიდევ ერთ დიდ წარმატებას მიაღწია 22 წლის ჩეხოსლოვაკიელმა ჩოგბურთელმა ივან ლენდლმა. მან მოიგო ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი ტურნირი — „გრან-პრი მასტერსი“, რომელიც თავს უყრის მსოფლიოს უძლიერეს ოსტატებს „გრან-პრის“ შეჯიბრებათა სერიების შედეგების მიხედვით.

ამ ტურნირის შარშანდელმა გამარჯვებულმა ლენდლმა ბრწყინვალედ ჩაატარა მატჩები ძლიერ მეტოქეებთან. მეოთხედფინალში მან მოუგო საფრანგეთის ჩემპიონს იანიკ ნოას — 6:4, 7:5, ნახევარფინალში — უიმბლდონის ტურნირის გამარჯვებულ ჯიმი კონორსს (აშშ) — 6:3, 6:1.

„მედისონ სკვერ-გარდენის“ დარბაზში მოსულმა 18 ათასამდე მაყურებელმა იხილა ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენის ბრწყინვალე თამაში ფინალში მსოფლიოს პირველ ჩოგნად აღიარებულ 23 წლის ამერიკელ ჯონ მაკინროსთან. როგორც წინა ორთაბრძოლებში, ლენდლმა ყველა პარტია მოიგო — 6:4, 6:4, 6:2.

„გრან-პრი მასტერსის“ 30-წლიანი ისტორიის მანძილზე ლენდლი მესამე ჩოგბურთელია (რუმინელი ილიე ნასტასესა და შვედი ბიორნ ბორგის შემდეგ), რომელმაც ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა ამ ტურნირში (საკდესი).

● ხელბურთი

მინსკის ასკ-მა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე საპასუხო მეოთხედფინალურ შეხვედრაში დაამარცხა გფრ-ის „გროსვალშტადტი“ 26:16 (13:8) და ნახევარფინალში გავიდა.

● კრივი

ატლანტიკ-სიტიში (აშშ) გაიმართა ქვემძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა მსოფლიო პირველობა. მსოფლიო ჩემპიონმა დუაიტ ბრექსტონმა (აშშ) აშკარა უპირატესობით მოუგო თანამემამულე ედი დევისს. მსაჯმა ბრძოლა მეთერთმეტე რაუნდში შეწყვიტა.

გასტრონომიული რეკლამა ბობოქრობს

გასული წლის მიწურულში ვიუწყებოდით, რომ ახლა უცხოეთში სხვადასხვა გასტრონომიული ფირმები თავიანთ ნაწარმს რეკლამას უკეთებენ სპორტის სხვადასხვა სახეობების — ფეხბურთისა და ციგურაობის საშუალებით. კერძოდ, ვწერდით, რომ თბილისში გამოსული იტალიის „ნაპოლის“ მოთამაშეებს მაისურზე კლუბის ემბლემის ნაცვლად „ჩირიო“ ეწერათ. „ჩირიო“ იტალიის ის ცნობილი გასტრონომიული ფირმაა, რომელიც „ნაპოლის“ აფინანსებს.

შვეციის მოციგურავეებს ტრადიციული სამი, სამეფო გვირგვინის მაგიერ, მკერდზე — „სარა ტიმი“ აწერიათ, რაც სიტყვასიტყვით „სარას გუნდს“ ნიშნავს. „სარა“ შვეციის რესტორნებისა და ოტელების მფლობელი უდიდესი კომპანიაა, რომელთანაც ამ ქვეყნის მოციგურავეთა კავშირმა ორწლიანი კონტრაქტი დადო ფირმის რეკლამის თაობაზე. რაც შეეხება სკანდინაველ ჰოკეისტთა ნაკრებს, მის წევრებს ცნობილი „სამი გვირგვინის“ ნაცვლად, ლუდის კონცერნის — „პრიპსის“ საფირმო ნიშანი ამშვენებთ.

სულ ახლახან კი ცნობილი გახდა, რომ ჰოლანდიელ მოციგურავეს, მსოფლიო რეკორდსმენ ვან დერ დიუმს ეროვნულ ჩემპიონატში გამოსვლის უფლება ჩამოერთვა. საბოლოო სიტყვა ამ გადაწყვეტილების მისაღებად ჰოლანდიის მოციგურავეთა კავშირის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით კავშირის სადისციპლინო კომისიას ეკუთვნის.

სახელგანთქმული სპორტსმენის დანაშაული იმაში მდგომარეობს, რომ იგი საახალწლო სატელევიზიო გადაცემაზე გამოცხადდა სვიტრში, რომელზედაც ამოქარგული იყო ერთ-ერთი კოსმეტიკური ფირმის დასახელება. ამას მოჰყვა ჰოლანდიელ მოციგურავეთა ქველმოქმედის — ყველის მწარმოებელთა კავშირის რისხვა. პატივცემულმა ყველმწარმოებლებმა არ აპატიეს ვან დერ დიუმს, რომ მან სხვა ფირმას გაუკეთა რეკლამა.

ვან დერ დიუმი ან სამაგალითოდ დაისჯება, ან შევწყვეტთ მოციგურავეთა კავშირის ფინანსირებას, — ასეთია ყველმწარმოებელთა უაპელაციო მოთხოვნა.

რედაქტორი ა. ბასილაია.

---

27 იანვარს

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში გაიმართება წარმოება-დაწესებულებების ფიზკულტურულ მუშაკთა სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა თემაზე:

„მშთ კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადების ორგანიზაცია და პრობლემები“

დასაწყისი 11 საათზე.

თბილისის საქალაქო სპორტკომიტეტი.

---

29 იანვარს, 16 საათზე, ჭადრაკის რესპუბლიკურ სასახლეში (ლენინის ქუჩა № 37—კიროვის პარკი) შედგება ჭადრაკის კულტურის რესპუბლიკური სახალხო უნივერსიტეტის მორიგი მეცადინეობა.

ლექციებს წაიკითხავენ:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თეიმურაზ ჯაფარლი: **„ზნეობრივი აღზრდის ზოგიერთი საკითხი“**; საერთაშორისო არბიტრი ვაჟა ნეიძე: **„კომპოზიცია — საჭადრაკო ხელოვნების დარგი“**.

ლექციების შემდეგ მსმენელთათვის მოეწყობა ბლიცტურნირი სახალხო უნივერსიტეტის პრიზზე.

უნივერსიტეტის მსმენელებთან ერთად ვიწვევთ ჭადრაკის ყველა მოყვარულს.

სახალხო უნივერსიტეტის საბჭო.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით
საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 უე 07403